პროექტი

საქართველოს მთავრობის

განკარგულება N

2019 წ. ქ. თბილისი

**„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის N62 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის N62 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის:

**1. „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საგრანტო პროექტის - „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ - ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 8 ერთეულით;“.

**2. „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„ვ) არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საგრანტო პროექტის - „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე“ - ფარგლებში განსაზღვროს არა უმეტეს 8 ერთეულით.“.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

**პრემიერ-მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**

## განმარტებითი ბარათი

## „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის N62 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

## საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე

## ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ცვლილება ითვალისწინებს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის გამონაკლისის დაშვებას და 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრას, კერძოდ:

ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ფაქტების აღრიცხვიანობის, გამოვლენის, შეფასებისა და შესაბამისი რეფერალის განსახორციელებლად შემუშავდა და მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით 2018 წლის იანვარში დამტკიცდა სამედიცინო დოკუმენტირების ჩანართი ფორმები სტაციონარულ და ამბულატორიულ ბარათებში, რომელთა პილოტირება, შემდგომი დანერგვის მიზნით, დაიწყო 2018 წლის სექტემბერში და გაგრძელდება 2019 წლის ბოლომდე შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში კახეთის რეგიონსა და თბილისში. აღნიშნულ აქტივობაში გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) განაგრძობს თანამშრომლობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სსიპ -ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან.

ამ მიზნით გაეროს მოსახლეობის ფონდსა და სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს შორის 2019 წლის 30 იანვარს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება თემაზე - „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე“ (Healthcare Response to DV/GBV). გრანტის ფარგლებში ფონდი არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით ითხოვს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 2019 წლის 1

თებერვლიდან განისაზღვროს არა უმეტეს 8 ერთეულის ოდენობით, ვინაიდან, საგრანტო პროექტით გათვალისწინებული თანამშრომელების მიერ 2019 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო პილოტური პროექტის მიმდინარეობაზე დაკვირვება და მონიტორინგი, რაც მოიცავს სპეციალური ფორმების მიხედვით ანგარიშგებას და ყოველდღიურ რეჟიმში დაკვირვებას, ასევე პილოტურ პროექტში ჩართული ექიმებისთვის დაიწყო საცნობარო მასალის მომზადება. 1 თებერვლიდან აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონულ სატრენინგო მოდულზე, კერძოდ: ელექტრონული სატრენინგო მოდულის შინაარსსა და ტესტებზე. აღნიშნული აქტივობა პილოტური პროექტთან ერთად საგრანტო ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი აქტივობაა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო პროექტის -„საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ ფარგლებში მიმდინარე წელს გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად, დონორთან შეთანხმებით, ფონდს ესაჭიროება არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის ზრდა 3 ერთეულის ოდენობით და განსაზღვრა არა უმეტეს 8 ერთეულით.

სულ, წარმოდგენილი პროექტით, არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საგრანტო პროექტების ფარგლებში იზრდება 11 ერთეულის ოდენობით.

## ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი არ გამომდინარეობს „ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

## პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან (USAID) და გაეროს მოსახლეობის ფონდიდან (UNFPA) მიღებული გრანტების ფარგლებში.

## პროექტის მოსალოდნელი შედეგები

შესაბამისი პროექტების შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელება.

## პროექტის განხორციელების ვადები

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება 2019 წლის განმავლობაში.

## პროექტის ავტორ(ებ)ი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.